(1996)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **<u>გადაწყვეტილება</u> აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ,

აცხადებს რა, რომ მთლიანად მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და რუსეთის ფედერაციის ძალისხმევას, რომლის მიზანია კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა,

აღნიშნავს, რომ მხარეები აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა ხელშეწყობით მთლიანად იცავენ 1994 წლის 14 მაისის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ,

გამოთქვამს, ამავე დროს, ღრმა შეშფოთებას კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი პოლიტიკური და ჰუმანიტარული პრობლემების მოუწესრიგებლობის გამო,

იმოწმებს 1995 წლის 10 თებერვლის (ალმა-ათა) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისა და სტაბილურობის შესახებ მემორანდუმის დებულებებს და სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1995 წლის 26 მაისის განცხადებას (მინსკი),

ადასტურებს აღნიშნული დოკუმენტებიდან გამომდინარე თავიანთ ვალდებულებებს მხარი არ დაუჭირონ სეპარატისტულ რეჟიმებს, არ დაამყარონ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობა, არ გაუწიონ მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა დახმარება,

აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა მიიღონ აფხაზთა მხარეზე ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსი,

მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაგმოს აფხაზთა მხარის დესტრუქციული პოზიცია, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის შესახებ ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევას, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.

2. თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო მხარეებისაგან მოელის, რომ უახლოეს მომავალში მიაღწევენ არსებით შედეგებს მოლაპარაკებაზე რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, განსაკუთრებით იმაში, რაც ეხება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა პოლიტიკურ საკითხებსა და პრობლემებს.

3. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები აღკვეთენ კონფლიქტის ზონაში მათი მოქალაქეების ან მათი ტერიტორიიდან, ანდა მათი დროშით ხომალდებისა თუ თვითმფრინავების გამოყენებით შეიარაღების, ყველა სახეობის შესაბამისი ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების, საომარი მასალების, სამხედრო სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის გაყიდვას ან მიწოდებას.

4. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები აკრძალავენ:

ა). აფხაზეთის მხარისათვის თავისი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ან თავისი ტერიტორიიდან ნებისმიერი ტექნიკური კონსულტაციების, დახმარებისა თუ მომსახურების გაწევას კადრების მომზადების დარგში და მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი სხვა საკითხების შესახებ;

ბ). აფხაზთა მხარის ხელისუფალთა კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ჩართვას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის.

5. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები განახორციელებენ ღონისძიებებს, რომ:

ა). არ დაუშვან თავიანთ მოქალაქეთა დაქირავება და მათი გაგზავნა კონფლიქტის ზონაში იქ მოქმედ ნებისმიერ შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობისათვის;

ბ). დააბრუნონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომლებიც ამჟამად აფხაზეთის შეიარაღებულ ფორმირებებში მსახურობენ;

გ). გაიწვევენ აფხაზთა მხარის ხელისუფალთა კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მყოფ ყველა თავიანთ თანამდებობის პირს, წარმომადგენელს ან მოქალაქეს, რომლებიც ამ ხელისუფალთ დახმარებას უწევენ სამხედრო საკითხებში.

6. ადასტურებენ რა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად:

ა). არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო, სხვა ოპერაციებს აფხაზთა მხარის ხელისუფლებასთან;

ბ). არ დაამყარებენ ოფიციალურ კონტაქტებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სტრუქტურების წარმომადგენლებთან ან თანამდებობის პირებთან, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან.

7. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიებზე აფხაზთა მხარის ხელისუფლების წარმომადგენლობებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც ოფიციალურად წარმოადგენენ ამ ხელისუფლებს.

8. ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით მიღწეული იყოს აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგება, და, უწინარეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ, უთუოდ და ღირსეულად დაბრუნდეს ყველა ლტოლვილი და ადგილნაცვალი პირი მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოუწოდებენ, მხარი დაუჭირონ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მიღებულ აფხაზთა მხარის ხელისუფლებაზე ზემოქმედების ზომებს და ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს ურჩიოს შეუერთდეს ამ ზომებს.

ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

შესრულებულია ქალაქ მოსკოვში, **1996 წლის 19 იანვარს**, ერთ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. დედანი ეგზემპლარი ინახება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ სამდივნოში, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილების ხელმომწერ ყოველ სახელმწიფოს გაუგზავნის დამოწმებულ ასლს.

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ.

გადაწყვეტილებისათვის ხელი არ მოუწერია ბელარუსიის რესპუბლიკას, თურქმენეთს.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 11, 1996 წლის 20 იანვარი)